

დიმიტრი ახვლედიანი

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი დამლიანი კრამიტის ერთი ჯგუფის იდენტიფიკაციისათვის

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ელინისტური ხანის კრამიტი წარმომავლობის მიხედვით სამ ჯგუფად გვეყონდა დაყოფილი: ადგილობრივი, ანუ კოლხური (სამეფო დამლიანი და ნიშნიანი), სინოპური და არაიდენტიფიცირებული სანარმოო ცენტრის. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ბრტყელი, ყავისფერკეციანი კრამიტის ფრაგმენტების სახით, რომლის ზედაპირზე დატანილია დამლევი წარწერით „[Hρακλει]ρισ“ [1, 28-29]. ამ ჯგუფის კრამიტების სანარმოო ცენტრის განსაზღვრა ვერ ხერხდებოდა იმის გამო, რომ ამ მასალის ფორმის აღდგენა, ნაწილობრივ მაინც, ვერ ხერხდებოდა, თუმცა კეცის ფერი და შემადგენლობა იძლეოდა იმ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ ეს კრამიტი კოლხური უნდა ყოფილიყო.

1999 წლის კამპანიის დროს, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა ჰერაკლიდეს დამლიანი, ბრტყელი კრამიტის ქვედა მარჯვენა კუთხე (07:1-99/184), რომელიც თავისი ფორმით ისეთივეა, როგორც ყველა კოლხური კრამიტის ქვედა კუთხე, ანუ აკეცილი გვერდი შიგნითაა შეზნექილი (ტაბ, 1₃). აქედან გამომდინარე, კრამიტის ეს ჯგუფიც კოლხურია, თუმცა მათი დამამზადებელი სახელოსნოს აღმოჩენა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

სადღეისოდ ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ერთიდაიგივე სიქით დატანილი ჰერაკლიდეს დამლიანი ექვსი კრამიტის ფრაგმენტი. დამლებს ზედა და ქვედა კიდეზე თითო ლარი დაუყვება.

- 1) 07:1-78/330 [HPA]KΛEΙΔOY (ტაბ, 1₁);
- 1) 07:1-78/118 [HPAK]ΛEΙΔOY
- 3) 07:1-65/81 HPA[KΛEΙΔOY] (ტაბ, 1₂);
- 4) 07: 1-88/566 წარწერა მთლიანად გადაშლილია
- 5) 07:1-99/184 HPAKΛEΙ[ΔOY] (ტაბ, 1₃);
- 6) 07:1-99/185 HPAKΛEΙΔO[Y]

ამ დამლათა ზუსტი განსაზღვრა დღესდღეობით ძალზე ძნელია, ვინაიდან არ არის გამოვლენილი ის ნაგებობა, რომლისთვისაც სპეციალურად იყო დამზადებული, ან შექმნილი ეს კრამიტი. აღმოჩენილი ფრაგმენტები ნაქალაქარის სხვადასხვა მონაკვეთებში იყო გამოვლენილი სხვა კრამიტებთან ერთად და მათი მოხმარება მეორედ, უფრო გვიანდელ ანალოგიურ ნაწარმთან არის სავარა-

უდებელი. ამდენად, ჰერაკლიდეს დამლათა თარიღი სადღეისოდ ზოგადად ძვ.წ. III-I სს. უნდა მივიჩნიოთ, რომლის განმავლობაშიც ხდებოდა ელინისტური ხანის კოლხური კრამიტის წარმოება [1,1999].

ლიტერატურა

1. ახვლედიანი დ., კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან, თბ., 1999

D. Akhvlediani

To the identification of the group of stamped tiles from the Vani city site

Summary

A group of brown clay pan-tiles supplied with stamps reading „[Hρακλε]δος“ from the Vani site has never been identified since the finds were very fragmentary. In 1999 a lower right corner of a stamped pan-tile was found. The stamp reads „[Hρακλε]δος“ The shape of the tile is the same as that colchian pan-tiles of the Hellenistic period (tab. I₃). One can suppose that the recent find is Colchian too. The tile fragment is dated summarily to the 3rd-1st centuries B.C.

